სენსორული და მოტორული დარღვევები ASDის მქონე ბავშვებთან

ძირითადი ტერმინოლოგია
სენსორული ინტეგრაციის დარღვევები
ადამიანის აღქმის ანატომია (აღქმის ორგანოები, სტიმულაციური ვარჯიშები)
რით შეიძლება დაგვეხმაროს SI-ის მეთოდზე დაფუძნებული თერაპია
შესავალი და ძირითადი დეფინიციები:
სენსორული ინტეგრაცია- წარმოადგენს ცალკეული აღქმის ორგანოებიდან ტვინში შემავალი ინფორმაციის ორგანიზებისა და მოწესრიგების პროცესს, რომლის შედეგიც არის მიზნობრივი მოქმედება. ინტეგრაციის პროცესი მოიცავს იმ ფაქტორების ურთიერთქმედებასა და ორგანიზებას, რომლებიც ზემოქმედებენ ორგანიზმზე მოცემულ მომენტში, და ასევე უფრო ადრეული გამაღიზიანებლების აკტუალურ სიტუაციასთან ასოციაციის გავლენასაც.
ჰიპერმგრძნობელობა ანუ სენსორული თავდაცვა, მოიცავს ტაქტილურ, ვიზუალურ, სმენით, ყნოსვით სისტემებს და ხასიათდება მიუღებლობით ზოგი გამაღიზიანებლისადმი, რომლებსაც აღიქვამს როგორც უსიამოვნოსა და გადაჭარბებულს, ხშირად პასუხობს მათზე არაადექვატური რეაქციებით დაქვეითებული მგრძნობელობა არის ნეიროფიზიოლოგიური დეფიციტი. ხშირად არასწორად არის ინტერპრეტირებული როგორც ემოციური ხასიათის დარღვევა, რაც მისთვის დამახასიათებელი ქცევებით არის განპირობებული მათ შორის: მაღალი აგღზნებადობა, კონცენტრაციის/ ყურადღების დარღვევა, ზოგჯერ აგრესია.
ტაქტილური ჰიპერმგრძნობელობა, ტაქტილური სისტემის არასწორად ფუნქციონირების ერთ-ერთი გამოვლინებაა. იწვევს ფსიქიკურ და ფიზიკურ დისკომფორტს, რადგან უსიამოვნოდ აღიქმება არამხოლოდ ამჟამად მოქმედი , არამედ მოსალოდნელი გამაღიზიანებელიც. ბავშვი შეიძლება თავს იკავებდეს ზოგი ფორმისა და ფაქტურის მქონე სათამაშოების ხელში დაჭერისგან, ქვიშით თამაშისგან, თავს არიდებდეს იმგვარ აქტივობებს, რომლის დროსაც შეიძლება მოულოდნელი/ უსიამოვნო გამაღიზიანებელთან შეხება მოუწიოს, ასეთი აქტივობები შეიძლება იყოს გუნდური თამაშები, ახალი, აქამდე უცნობი გემოსა და კონსისტენციის მქონე კერძების გასინჯვა, კბილების გახეხვა (ორალური ზონის ჰიპერმგრძნობელობის შემთხვევაში). ჰიპერმგრძნობელობის მქონე ბავშვები საკმაოდ სწრაფად და ადვილად მიდიან ნერვული სისტემის „გადათვირთვამდე" , რაც იწვევს ძლიერ ემოციურ რეაქციებს, რომელიც ხშირად იმპულსურობით, ზოგჯერ კი აგრესიულობით ხასიათდება, ეს კი, თავისმხრივ, სოციალური პრობლემების საწინდარია. ტაქტილური ჰიპერმგრძნობელობა უკავშირდება მოტორულ აგღზნებადობასა და კონცენტრაციის დარღვევას
დაქვეითებული მგრძნობელობა უკავშირდება შემცირებულ რეაქციას კონკრეტული სახის გამაღიზიანებელზე– ნერვულ სისტემას ურთულდება მასში შემავალი ინფორმაციის დაფიქსირება

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.
Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)

ამის გამო, როგორც წესი ბავშვები რეაგირებენ მაშინ, როცა ჩნდება შედარებით ძლიერი , ან ერთდროულად ბევრი გამაღიზიანებელი. ქცევაში შეიძლება გამოიხატებოდეს იმით, რომ აქტიურად ეძებენ ახალ სტიმულაციას, სჭირდებათ ბევრი შთაბეჭდილება, არასდროს კმაყოფილდებიან, უყვართ ინტენსიური აქტივობები, ან პირიქით, შეიძლება დაგვიანებულად რეაგირებდნენ სენსორულ გამაღიზიანებელზე

სენსორული ინტეგრაციის დარღვევები

- ✖ ჰიპერაქტიურობა
- ✖ ჰიპოაქტიურობა
- ✖ ყურადღების კონცენტრაციის პრობლემები
- ✖ მაღალი ემოციური და მოტორული აგღზნებადობა
- ✖ მხედველობითი და მოტორული კოორდინაციის დონის დაქვეითება
- ✖ მოტორული შეზღუდვები
- ✖ მიმართულების შეგრძნების დარღვევები
- ✖ სხვა ბავშვებთან თამაშის პრობლემები
- ✖ თვითმომსახურეობის და ყოველდღიური საქმიანობების შესრულების სირთულეები

ადამიანის აღქმის ორგანოთა ანატომია:
აღქმის ინსტრუმენტები: (თვალები, ყურები, ვესტიბულარული აპარატი, ენა, ცხვირი, კანი, კუნთები, მყესები, სახსრები)
აღქმის ტიპები: მხედველობა, სმენა, წონასწორობა, გემო, ყნოსვა, ტაქტილური შეხება, ღრმა მგრძნობელობა (პროპრიოცეპცია).
ვესტიბულარული და პროპრიოცეპციული სისტემა გავლენას ახდენს დანარჩენი სისტემებიდან მიღებული სენსორული შთაბეჭდილებების სწორ ინტერპრეტირებაზე (სმენითი, ტაქტილური, ვიზუალური).
პროპრიოცეპცია (ღრმა მგრძნობელობა) ცენტრალურ ნერვულ სისტემას სივრცეში სხეულის პოზიციას ატყობინებს, ვესტიბულარული სისტემა კი, სივრცეში თავის პოზიციას არეგულირებს.
სტიმულაციური ვარჯიშები:
ღრმა მგრძნობელობა:
-მოჭერა
-მასაჟი
-გორაობა

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.
Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)

-ზეწოლა სახსრებზე
-გორაობა ზეწოლით
-ტრიალი საბანში შეხვევით
-მძიმე საბნის სხეულზე დადება
მძიმე ნივთების გადატანა

წონასწორობის:
-ტრიალი
-ტრიალი სავარძელში
გადმოხტომა ტრამპლინიდან
-ქანაობა საქანელაზე
-კიბეზე სიარული
-სიარული წონასწორობის დასაცავ ხელსაწყოზე
ხტომა ბურთზე
-მბრუნავი დაფა
ტაქტილური შეხება:
-სხვადასხვა ფაქტურაზე შეხება (ღრუბელი, (გუბკა) ჯაგრისი, ტილო, კვადრატული გლუვი ბურთი -სიარული სხვადასხვა ფაქტურებზე (სენსორულ ბილიკებზე)
-სხეულის მასაჟები (სხვადასხვა ფორმით– შიშველი ხელებით, ზეითუნის ზეთის გამოყენებით-
გორაობა სხვადასხვა საგნის დაჭერით
-სხეულზე შეხება (სითბო, სიცივე– საგნები, წყალი, ყინული)
თამაში ფხვიერი მასალებით, (საგნების მოძებნა, ფხვიერი მასალების ხელებით გადაყრა ჭურჭლიდან ჭურჭელში
ჭქმეტა, ბერტყვა, კაწრვა, გარშემო კაკუნი
მხედველობა:
-საგნისთვის თვალის მიყოლა
-კონვერგენცია
-ბიტი
-ნათურის შუქისთვის თვალის მიდევნება
-საფნის ბუშტების გაშვება და მათზე თვალის მიდევნება
-სავარჯიშოები კონტრასტის გამოყენებით
ხაზვა ლაზერით
ვიზუალურ-მოტორული კოორდინაციის ყველა სავარჯიშო ასტიმულირებს მხედველობას:
-ბურთის სროლა პარტნიორთან ერთად
-ბურთის სროლა მიზანში (კალათაში)
-ბურთის უკუგდება თითის ბალიშებით
-ბურთისთვის ფეხის დარტყმა პარტნიორთან ერთად
სმენა:
-ხმის წყაროს მოახლოება და დაშორება

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.
Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)

- ყურზე კაკუნი (საკუთარი ხელით)
- ხმებისთვის ყურის მიგდება
-თითის ბალიშებით თავზე კაკუნი
-დაკვრა ინსტრუმენტებზე
ყურში ლაპარაკი მილის საშუალებით

ყნოსვა და გემო:

-განსხვავებული სუნების დაყნოსვა (ნატურალური)
-სხვადასხვა გემოს მიწოდება
-სხვადასხვა საკვების გამოყენება
-ყნოსვითი თამაშები (მაგალითად ცხვირი ცხვირში)

რაში უნდა დაგვეხმაროს SI მეთოდზე დაფუძნებული თერაპია:

-აუტოსტიმულაციის შემცირება, ყურადღების კონცენტრაციის დროის გახანგრძლივება, ვიზუალური კონტაქტის გახანგრძლივება, საკუთარი სხეულის უკეთესი შეცნობა და კონტროლი, გარედან შემავალი გამაღიზიანებლების უკეთესი შეცნობა და მათი ერთმანეთისგან განსხვავება.

მშობლების როლი თერაპიულ პროცესში:

მშობელთა მიერ გაცნობიერება იმისა, რომ არსებობს სენსორული ინტეგრაცია და რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი შვილის განვითარებაში
როგორ უსაბრთხოდ მივუსადაგოდ სტიმულაციები
ბავშვზე დაკვირვება სიტუაციაში, როცა ის კონტრასტულ/ სენსორულ სტიმულაციას იღებს
მშობლისთვის შვილის ქცევასა და რეაქციაზე დაკვირვების სწავლება
სენსორული ინტეგრაცია და სენსორული სტიმულაცია არ არის ერთი და იგივე რამ
მშობლები უნდა დაეხმარონ შვილს, მისი პრობლემის გაცნობიერებაში
სენსორული ინტეგრაციის განვითარებაში დახმარების ყველაზე მნიშვნელოვანი წესები

პროგრამა RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში
პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.
Uznanie autorstwa - Użycie niekomercyjne 4.0 Międzynarodowe" (CC BY-NC 4.0)